



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წ. 6 ივლისის №733  
დადგენილებით  
მოდირიგირებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2022 წლის 11 თებერვლის  
№ 01-05-04/12 დადგენილებით

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

არქიტექტურა

Architecture

ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

Faculty of Architecture, Urban Planning and Design

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი ლევან ბერიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

არქიტექტურის მაგისტრი  
Master of Architecture

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“-ზე სწავლის უფლება აქვს არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები).

გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <https://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სავალდებულოა უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულენოვანი სასწავლო კურსი/პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

### პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მთავრდება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვით. ერთი აკადემიური წელი წარმოადგენს 2 სემესტრის ერთობლიობას. ის მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. ერთი სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს. კონკრეტული სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით „სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“.

პროგრამის მთლიანი მოცულობა არის 120 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტს (სასწავლო კურსებს) ეთმობა - 90 კრედიტი, მათგან 10 კრედიტი უკავია არჩევითი უცხოური ენის კომპონენტს, 18 კრედიტი - არჩევით პროექტს (სწავლების I სემესტრში 6 კრედიტი, II სემესტრში 6 კრედიტი, III სემესტრში 6 კრედიტი. სტუდენტი ირჩევს სასურველი მიმართულების - მოცულობითი არქიტექტურის, ქალაქგეგმარების, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტური არქიტექტურის ან გარემოს დიზაინის შესატყვის სასწავლო კურსს და ასრულებს შესაბამის პროექტს), ხოლო 5 კრედიტი - არქიტექტურულ პრაქტიკას. პროგრამის კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) ეთმობა 30 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი სრულდება სამაგისტრო ნაშრომის სახით, რომლის შეფასებაც ხდება ერთჯერადად.

მაგისტრატურის პროგრამა „არქიტექტურა“ შესაბამისობაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებასთან მაგისტრატურის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ისეთი პროფესიონალი, რომლის მოღვაწეობის ძირითადი სფერო იქნება არქიტექტურის დარგში პრაქტიკული თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.
- კურსდამთავრებულმა შესძლოს დამოუკიდებლად წარმართოს არქიტექტურულ-პრაქტიკული საქმიანობა, რაც გულისხმობს ქალაქთმშენებლობით, შენობა-ნაგებობების, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა და გარემოს დიზაინური ობიექტების დაპროექტებას.

### სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ✓ ახდენს არქიტექტურული მოღვაწეობის სფეროს - ქალაქგეგმარების, მოცულობითი

არქიტექტურის, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა და გარემოს დიზაინის შესაბამისი ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და სტრატეგიების ინტერპრეტირებას.

- ✓ იცის შენობების მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის პრინციპები და აცნობიერებს არქიტექტურულ პროექტზე ბუნებრივ-კლიმატური, ფუნქციურ-ტექნოლოგიური, საინჟინრო, სივრცულ-არქიტექტურული, ერგონომიკული, ესთეტიკური, კულტურული ფაქტორების გავლენას.
- ✓ იაზრებს პროექტების მენეჯმენტის საკითხებს არქიტექტურასა და მშენებლობაში და ფლობს ქალაქმშენებლობით, არქიტექტურულ და სამშენებლო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ნორმატიული ბაზის ცოდნას.
- ✓ ითვისებს არქიტექტორთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს და საპროექტო დავალებების მომზადებისა და დაპროექტების პროცესში მასთან შესაბამისობაში მოჰყავს დამკვეთისა და პოტენციური მომხმარებლის კომპლექსური ინტერესები.
- ✓ დამოუკიდებლად ახორციელებს არქიტექტურულ-პრაქტიკულ საქმიანობას, რაც გულისხმობს ქალაქმშენებლობით, შენობა-ნაგებობების, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა ან გარემოს დიზაინური ობიექტების დაპროექტებას.
- ✓ მულტიდისციპლინურ და კომპლექსურ გარემოში დაპროექტებისას ითვისებს ფუნქციურ-ტექნოლოგიურ, ბუნებრივ-კლიმატურ, სოციალურ ფაქტორებს, ასევე არქიტექტურული მენეჯმენტის, ქალაქმშენებლობითი ეკოლოგიის, ისტორიული და კულტურული ასპექტებისა და ესთეტიკური მოთხოვნების, არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის საკითხებს და დამოუკიდებლად იღებს ადეკვატურ და ორიგინალურ გადაწყვეტილებებს.
- ✓ აანალიზებს ლოგიკური აზროვნების საფუძველზე ტერიტორიის ოროგრაფიულ და ბიოკლიმატურ ფაქტორებს, არქიტექტურულ-კონსტრუქციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და პროექტირებასთან დაკავშირებულ სხვა საინჟინრო პრობლემებს და ასახავს პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში.
- ✓ დამოუკიდებლად აყალიბებს, ყოველი კონკრეტული თემის შესაბამისად, საპროექტო დავალებას უახლეს მეთოდებზე და მიდგომებზე, ნორმატიულ ბაზაზე, სისტემურ ანალიზსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით და ირჩევს დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებსა და საშუალებებს, კვლევის შესაბამის მეთოდებს.
- ✓ მართავს არქიტექტურული პროექტის დამუშავების პროცესს და იცავს დასრულებულ საპროექტო ან/და კვლევით ნაშრომს.
- ✓ არქიტექტურული პროექტის დამუშავების, წარდგენისა და შეფასების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის მიზნით იყენებს ვიზუალურ, წერილობით, ვერბალურ მეთოდებსა და მედიის შესაძლებლობებს.
- ✓ კოორდინაციას უწევს მულტიდისციპლინურ გუნდს და პასუხისმგებელია ამ გუნდის შეთანხმებულად, სინქრონულად, ეთიკის ნორმების დაცვით, მუშაობის პროცესზე.
- ✓ დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს ქალაქგეგმარების, მოცულობითი არქიტექტურის, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, ლანდშაფტისა ან გარემოს დიზაინის მიმართულებით.

#### სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი  სამაგისტრო ნაშრომი  კონსულტაცია
- დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები;
2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
5. შემთხვევების შესწავლა (Case study);
6. გონებრივი იერიში (Brain storming);
7. დემონსტრირება;
8. ინდუქცია;
9. დედუქცია;
10. ანალიზი;
11. სინთეზი;
12. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი სწავლება;
13. წერიტი მუშაობა;
14. ახსნა-განმარტება;
15. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
16. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

#### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 21), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60 (შუალედური შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 30). ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას. შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30.

კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად 100 ქულიანი სისტემით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ

ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, და ასევე განცხადება - სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

დამატებითი ინფორმაცია მოცემულია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“-ში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

### დასაქმების სფერო

- ადგილობრივი თვითმმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები;
- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- მასშედის საშუალებები და სარეკლამო კომპანიები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სპეციალიზებული სკოლები.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია თანდართულ სილაბუსებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 42

### პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	არჩევითი (უცხოური ენა) 1					
1.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ აქვს	5			
1.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	არ აქვს				
1.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	არ აქვს				
1.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	არ აქვს				
2	პროექტების მენეჯმენტი არქიტექტურასა და მშენებლობაში	არ აქვს	4			
3	საცხოვრისი - ანამნუზი დროსა და სივრცეში	არ აქვს	5			
4	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები	არ აქვს	5			

5	შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია	არ აქვს	5			
6	<b>არჩევითი პროექტი N1</b>					
6.1	არქიტექტურული პროექტი 1	არ აქვს	6			
6.2	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება	არ აქვს				
6.3	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება	არ აქვს				
6.4	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება	არ აქვს				
6.5	რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 1	არ აქვს				
7	<b>არჩევითი (უცხოური ენა) 2</b>					
7.1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	არ აქვს	5			
7.2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	არ აქვს				
7.3	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	არ აქვს				
7.4	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	არ აქვს				
8	არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა-განზოგადება	საცხოვრისი - ანამნეზი დროსა და სივრცეში	5			
9	მდგრადი განვითარების არქიტექტურა და არქიტექტურული ფიზიკა	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები	5			
10	ქალაქმშენებლობითი, არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	არ აქვს	4			
11	ქალაქის ისტორიული კვარტალის ურბანული და მოცულობით-სივრცითი რეკონსტრუქციის პროექტი (ფარული რეკონსტრუქცია)	შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია	5			
12	<b>არჩევითი პროექტი N2</b>					
12.1	არქიტექტურული პროექტი 2	არქიტექტურული პროექტი 1	6			
12.2	ქალაქის პროექტირება (მცირე ქალაქის საცხოვრებელი რაიონი)	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება				
12.3	ლანდშაფტის დაპროექტება: ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურულ-ლანდშაფტური რეკონსტრუქცია	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება				
12.4	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 1	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება				

12.5	რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 2	რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 1				
13	ტრადიციული და ინოვაციური არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები	მდგრადი განვითარების არქიტექტურა და არქიტექტურული ფიზიკა			5	
14	მაღლივი შეობების დაპროექტების პრინციპები	მდგრადი განვითარების არქიტექტურა და არქიტექტურული ფიზიკა			5	
15	კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა	არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა-განზოგადება			3	
16	ქალაქის კოლორისტიკა	არ აქვს			3	
17	არქიტექტურული პრაქტიკა	პროექტების მენეჯმენტი არქიტექტურასა და მშენებლობაში ქალაქმშენებლობითი, არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები			5	
18	არჩევითი პროექტი N3					
18.1	არქიტექტურული პროექტი 3	არქიტექტურული პროექტი 2				
18.2	ქალაქის პროექტირება (ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია)	ქალაქის პროექტირება (მცირე ქალაქის საცხოვრებელი რაიონი)				
18.3	ლანდშაფტის დიზაინური დაპროექტება	ლანდშაფტის დაპროექტება: ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურულ-ლანდშაფტური რეკონსტრუქცია			6	
18.4	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 2	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და				

		მეთოდები 1				
18.5	რესტავრაცია-რკონსტრუქციის პროექტი 3	რესტავრაცია- რკონსტრუქციის პროექტი 2				
19	არჩევითი საგნები					
19.1	ეკოლოგიური არქიტექტურა	არ აქვს				
19.2	არქიტექტურული ბიონიკა	არ აქვს				
19.3	ქალაქის სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები			3	
19.4	ქალაქის გარემოს კომპიუტერული მოდელირება	არ აქვს				
19.5	ქალაქმშენებლობითი კლიმატოლოგია	არ აქვს				
19.6	მხატვრული და საინჟინრო ხელოვნების სინთეზი საქალაქო გარემოს დიზაინში	არ აქვს				
	კვლევითი კომპონენტი					
	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა					30
			სემესტრში:	30	30	30
			წელიწადში:	60		60
			სულ:	120		

პროგრამის სასწავლო გეგმა


№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.1	LEH16312G3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
1.2	LEH16412G3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	5/125	15		30				2	2	76
1.3	LEH16512G3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	5/125	15		30				2	2	76
1.4	LEH16612G3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	5/125	15		30				2	2	76
2	AAC19606G1	პროექტების მენეჯმენტი არქიტექტურასა და მშენებლობაში	4/100	15	15					1	1	68
3	AAC14206G1	საცხოვრისი - ანამნეზი დროსა და	5/125	15					30	1	1	78





		სივრცეში										
4	AAC21006G1	ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია, ქალაქი და ეკოლოგიური პრობლემები	5/125	15		30				1	1	78
5	AAC14506G1	შენობა-ნაგებობათა რეკონსტრუქცია-რესტავრაცია	5/125	15	30					2	2	76
6.1	AAC14306G1	არქიტექტურული პროექტი 1	6/150			45			15	1	1	88
6.2	AAC21106G1	ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ფორმირება	6/150	15		45				1	1	88
6.3	AAC50606G1	ლანდშაფტის დაპროექტება: საქალაქო რეკრეაციული სივრცეების დაპროექტება	6/150	15		45				2	2	86
6.4	AAC61506G1	ურბანული სივრცის დიზაინური დაგეგმარება	6/150	5					55	2	2	86
6.5	AAC19906G1	რესტავრაცია- რკონსტრუქციის პროექტი 1	6/150			33		12	15	1	1	88
7.1	LEH12512G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	5/125	15		30				2	2	76
7.2	LEH12712G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)	5/125	15		30				2	2	76
7.3	LEH12912G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)	5/125	15		30				2	2	76
7.4	LEH12312G1	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)	5/125	15		30				2	2	76
8	AAC14906G1	არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა-განზოგადება	5/125	15	30					2	2	76
9	AAC14406G1	მდგრადი განვითარების არქიტექტურა და არქიტექტურული ფიზიკა	5/125	15	30					2	1	77
10	AAC19706G1	ქალაქმშენებლობითი, არქიტექტურული და სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები	4/100	15	15					1	1	68
11	AAC21506G1	ქალაქის ისტორიული კვარტალის ურბანული და მოცულობით-სივრცითი რეკონსტრუქციის პროექტი (ფარული რეკონსტრუქცია)	5/125	15		30				1	1	78
12.1	AAC14706G1	არქიტექტურული პროექტი 2	6/150			45			15	1	1	88
12.2	AAC21406G1	ქალაქის პროექტირება (მცირე ქალაქის საცხოვრებელი რაიონი)	6/150			30			30	1	1	88
12.3	AAC51006G1	ლანდშაფტის დაპროექტება: ქალაქის ცენტრალური ნაწილის არქიტექტურულ-ლანდშაფტური რეკონსტრუქცია	6/150	11	4	45				1	1	88
12.4	AAC61706G1	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 1	6/150						60	1	1	88
12.5	AAC10106G2	რესტავრაცია-რკონსტრუქციის პროექტი 2	6/150			33		12	15	1	1	88
13	AAC14806G1	ტრადიციული და ინოვაციური	5/125	5					40	1	1	78

		არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები																	
14	AAC15506G1	მაღლივი შეობების დაპროექტების პრინციპები	5/125	15	30									2	1	77			
15	AAC14606G1	კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა	3/75	15		15								1	1	43			
16	AAC61606G1	ქალაქის კოლორისტიკა	3/75	8								22	2	2	41				
17	AAC19806G1	არქიტექტურული პრაქტიკა	5/125							45				-	3	77			
18.1	AAC15006G1	არქიტექტურული პროექტი 3	6/150			45						15	1	1	88				
18.2	AAC21706G1	ქალაქის პროექტირება (ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია)	6/150			30						30	1	1	88				
18.3	AAC63306G1	ლანდშაფტის დიზაინური დაპროექტება	6/150			60							2	2	86				
18.4	AAC62006G1	დიზაინური დაგეგმარების პრინციპები და მეთოდები 2	6/150									60	1	1	88				
18.5	AAC10206G2	რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 3	6/150			33		12	15				1	1	88				
19.1	AAC15106G1	ეკოლოგიური არქიტექტურა	3/75	15	15								1	1	43				
19.2	AAC15306G1	არქიტექტურული ბიონიკა	3/75	15	15								1	1	43				
19.3	AAC21906G1	ქალაქის სოციალურ-ეკოლოგიური პრობლემები	3/75	15		15							1	1	43				
19.4	ICT10906G2	ქალაქის გარემოს კომპიუტერული მოდელირება	3/75					30					1	1	43				
19.5	PHS67606G1	ქალაქმშენებლობითი კლიმატოლოგია	3/75	15		12	3						1	1	43				
19.6	AAC63206G1	მხატვრული და საინჟინრო ხელოვნების სინთეზი საქალაქო გარემოს დიზაინში	3/75	8								22	2	2	41				

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები


 ლევან ბერიძე

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

 ნინო ხაბეიშვილი  
 ნინო იმნაძე

ფაკულტეტის დეკანი

შეთანხმებულია სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

 დავით მახვილაძე

მიღებულია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 3 ივლისი 2012 წელი

მოდირებულია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N12) 26 იანვარი 2022 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

 ნინო იმნაძე

